

აივ ინფექცია/შიდს-ის საკვანძო პოპულაციებისათვის, აივ ინფექცია/შიდს-ით და ტუბერკულოზით დაავადებული პირებისთვის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა **COVID-19** პანდემიის პირობებში პირველადი ჯანდაცვის მომსახურების, ტელეკლინიკის მოდელის გამოყენებით

იანვარი 2021

# პროექტის მიზანი

- პირველადი ჯანდაცვის დისტანციური მომსახურების მიწოდების - ეწ. „ტელეკლინიკის“ მოდელის დანერგვა, რომელიც მიმართულია სამიზნე ჯგუფებისთვის COVID-19 პანდემიის, მოახლოებული სეზონური რესპირაციული ინფექციების მატების და სხვა შესაძლო შემზღუდველი გარემოებების პირობებში შემდეგისკენ:
  - პირველადი ჯანდაცვის და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
  - სამიზნე ჯგუფების დისტანციური კონსულტირება **COVID-19** შემთხვევათა ბინაზე მართვის პროტოკოლის შესაბამისად, მათ შორის თვითიზოლაციისა და ინფექციის პრევენციის თაობაზე, სხვა თანმხლები დაავადების შემთხვევაში დისტანციური კონსულტაციის გაწევა;
  - სამიზნე ჯგუფების მიერ სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით გათვალისწინებულ სერვისების თაობაზე ინფორმირებისა და შესაბამისი ჯგუფების მიერ ამ სერვისების უტილიზაციის გაუმჯობესება.

## ამოცანა 1 - ახალი კორონავირუსის პრევენცია, გამოვლენა და დისტანციური ტრიაჟი

- სამიზნე ჯგუფების დისტანციური საინფორმაციო კონსულტირება ახალი კორონავირუსის პრევენციის და სიმპტომების ადრეული გამოვლენის საკითხებზე, კონკრეტული სამიზნე ჯგუფისთვის სპეციფიური რისკ ფაქტორების გთვალისწინებით;
- სამიზნე ჯგუფების ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული დისტანციური ტრიაჟი სიმპტომებისა და ანამნეზის საფუძველზე, ქვეყანაში დამტკიცებული ალგორითმების და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.
- ტრიაჟის საფუძველზე, COVID19 დიაგნოსტიკური მომსახურების მიწოდება დაწესებულების ბაზაზე (სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში).

## ამოცანა 2 - სამიზნე ჯგუფების დისტანციური სამედიცინო კონსულტირება სამედიცინო შემთხვევის ინდივიდუალური მართვის პრინციპების დაცვით (ე.წ Case Management)

- დისტანციური კონსულტაციის (რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ვიდეოკომუნიკაციით) საფუძველზე მოქალაქის ანამნეზის შეკრება და შემდგომი დიაგნოსტიკისთვის (ასეთი საჭიროების შემთხვევაში) საჭირო ნაბიჯების განსაზღვრა, გადამისამართება და მოქალაქის ნავიგაცია შესაბამის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში სპეციალიზებული კონსულტაციებისა და ლაბორატორიული კვლევების მისაღებად.
- ოჯახის ექიმის გადაწყვეტილებით, სპეციალიზირებული კონსულტაციის გაწევა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მეშვეობით, სხვადასხვა კომპეტენციის ფარგლებში, რაც განისაზღვრება პაციენტის საჭიროებით.

## ამოცანა 3 - სამიზნე ჯგუფების მიერ სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით გათვალისწინებულ სერვისების თაობაზე ინფორმირებისა და შესაბამისი ჯგუფების მიერ ამ სერვისების უტილიზაციის გაუმჯობესება

- სამიზნე ჯგუფების დისტანციური საინფორმაციო კონსულტირება ჯანმრთელობის საკითხებზე;
- ინფორმირება და კონსულტირება ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრულ დაფარვებზე (მ.შ კოვიდ-19, იმუნიზაციის, აივ-ზე, C ჰეპატიტიზე და ტუბერკულოზზე მკურნალობის პროგრამები);
- კონსულტირება მომსახურების მიღების პროცედურებზე, მათ შორის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებისთვის საჭირო წინაპირობებთან დაკავშირებით.

## ამოცანა 4 - სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების დისტანციური ფსიქოლოგიური კონსულტირება და შემდგომი მხარდაჭერა


- ❑ ფსიქოლოგიური კონსულტირების საჭიროებას განსაზღვრავს ოჯახის ექიმი

## სამიზნე ჯგუფი

- ❑ აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული სერვისის მომწოდებლებთან რეგისტრირებული საკვანძო პოპულაციების წარმომადგენლები (ნიმ-ები, სმ ქალები, მსმ და ტრანსგენდერი პირები)
- ❑ აივ ინფექცია/შიდსით და ტუბერკულოზით დაავადებული პირები
- ❑ სავარაუდო რაოდენობა: 2000 ბენეფიციარი (არაუმეტეს 5000-სა)



- ტელეკლინიკა მუშაობს ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით, 10:00-დან - 19:00-მდე
- შაბათ-კვირას განხორციელებული ზარების ჩაწერა განხორციელდება ავტომოპასუხის მიერ და რეაგირება მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს





# შემთხვევების რეგისტრაციის და აღრიცხვის სისტემა



პროგრამებში რეგისტრირებულ პირებს (პროგრამისთვის სპეციფიურ იდენტიფიკატორზე) **წინასწარ მიენიჭება გენერირებული დაშვების კოდი, რომელიც ტელეკლინიკის იდენტიფიკატორი იქნება**



იმ შემთხვევაში როდესაც ბენეფიციარი არა პროგრამიდან რეფერალით, არამედ peer რეფერალით მიმართავს ტელეკლინიკას, **საოჯახო მედიცინის ცენტრი თავად ახდენს დაშვების კოდის გენერირებას**



არსებული COVID შემთხვევების სამართავად ბენეფიციარი **დაკვალიანდება ოჯახის ექიმის მიერ, თუმცა ასევე გაეწევა ზოგადი კონსულტირება ხელმისაწდომ სერვისებთან დაკავშირებით**



გამოყენებული იქნება ორმხრივი რეფერირების პრინციპი: **სათემო ორგანიზაციებიდან → ტელეკლინიკის მიმართულებით და ტელეკლინიკიდან → სათემო ორგანიზაციების მიმართულებით**



მომსახურების მონიტორინგის მიზნებისთვის **არ გამოვიყენებთ ზარის ჩაწერის ფუნქციას;** ნაცვლად ამისა, ცენტრი გამოიყენებს ხარისხის მართვის არსებულ პროტოკოლს

## როგორია მიღებულ შემთხვევებზე რეაგირების დრო



როდესაც პაციენტი რეკავს COVID-19 საექვო სიმპტომების გამო და სიტუაცია ტრენირებული ოპერატორის მიერ შეფასდა, როგორც მწვავე, ოჯახის ექიმი რეაგირებს 30 წუთის განმავლობაში

როდესაც პაციენტი რეკავს COVID-19 საექვო სიმპტომების გამო და მდგომარეობა არ მოითხოვს ოჯახის ექიმის დაუყოვნებელ რეაგირებას, ოჯახის ექიმი უკავშირდება პაციენტს იმავე დღეს

თუ პაციენტი დარეკვისას მოითხოვს პირდაპირ ფსიქოლოგის კონსულტირებას, ფსიქოლოგი ახორციელებს მასთან უკუკავშირს იმავე დღეს

თუ პაციენტი ფსიქოლოგთან გეგმიურად გადამისამართდება ოჯახის ექიმის მიერ, ფსიქოლოგი უკავშირდება პაციენტს არა უგვიანეს შემდეგი დღისა

თუ პაციენტს ესაჭიროება დაკვალიანება სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებით, ოჯახის ექიმი უკავშირდება მას არა უგვიანეს იმავე სამუშაო დღისა.

# უნიკალური დაშვების კოდები

დღეისათვის კოდები გადანაწილებულია შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებზე:

- ზიანის შემცირების ქსელი = 1,400 (რადგან საქართველოს მასშტაბით 14 ცენტრი აქვთ) - მათი კოდები იწყება ციფრი 1-ით;
- თანადგომა = 500; მათი კოდები იწყება ციფრი 2-ით;
- თანასწორობის მოძრაობა = 500; მათი კოდები იწყება ციფრი 3-ით;
- შიღს-ით დაავადებულთა დახმარების ფონდი = 500; მათი კოდები იწყება ციფრი 4-ით;
- ტუბ. პაციენტთა კავშირი = 500; მათი კოდები იწყება ციფრი 5-ით;
- ტუბ. ცენტრი = 500. მათი კოდები იწყება ციფრი 6-ით.
- თვითდინებით შემოსულ ზარებზე ცენტრი თავად ანიჭებს უნიკალურ კოდს, რომლის გენერირებაც ხორციელდება პროექტის IT კონსულტანტის დახმარებით და ინფორმაცია მიეწოდება შესაბამის სათემო ორგანიზაციას, რათა მათ დააფიქსირონ საკუთარ მონაცემთა ბაზაში.
- ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია პროექტის IT კონსულტანტი.

# შემთხვევის დეფინიცია

- შემთხვევად ჩაითვლება ტელეკლინიკისთვის სპეციალურად გამოყოფილი ხაზის ნომერზე: **(032) 2560576** მომართვის ყველა შემთხვევა, მიუხედავად იმისა, იქნება ის საინფორმაციო ხასიათის თუ დაკავშირება განხორციელდა სპეციფიკური სერვისის მიწოდების მიზნით.
- სამედიცინო მომსახურება ხდება მხოლოდ დისტანციურად. აუცილებელ შემთხვევაში, ტრიაჟის საფუძველზე - განიხილება, პირისპირ კონტაქტის შესაძლებლობაც (ტესტირების, სპეციალისტებთან რეფერალის, გამოკვლევების და სხვ. მიზნით)
- პროექტში მონაწილეობის მიზნებისათვის, აუცილებელია, ზარის განმახორციელებელმა ოპერატორს უთხრას საკუთარი განმასხვავებელი უნიკალური იდენტიფიკატორი/დაშიფრული ოთხ ან ხუთნიშნა კოდი, რომელიც მოწმდება წინასწარ გადმოცემულ ინფორმაციაში.
- პაციენტი, მხოლოდ საკუთარი კონფიდენციალური ნომრის სიაში არსებობის შემთხვევაში, იღებს მომსახურებას.

# შემთხვევის დეფინიცია

- შემთხვევად ითვლება არა მარტო უნიკალური იდენტიფიკატორის კოდის მქონე პაციენტი, არამედ მისი ოჯახის სრულწლოვანი და არასრულწლოვანი წევრის მომსახურება, სადაც მიეთითება ოჯახის წევრი/პარტნიორი/მეგობარი და ა.შ.
- შემთხვევად ჩაითვლება ყველა მომსახურება, რაც ჩაუტარდება პროგრამის მოსარგებლეს სამედიცინო საჭიროების შესაბამისად, მ.შ. ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაში, სამედიცინო/რისკის ჯგუფებთან მომუშავე ორგანიზაციის მიერ შერჩეული პერსონალი, ატარებს სახელმწიფო პროგრამებით მოცულ სამედიცინო მომსახურებას ან ადგილზე ან ეხმარება პაციენტს მომსახურება მიიღოს რეგისტრაციის შესაბამისად, სხვა დაწესებულებაში, კანონმდებლობის სრული დაცვით, სადაც უკვე საჭირო იქნება პაციენტის იდენტიფიცირება.
- შენიშვნა: სახელმწიფო პროგრამების სარგებლობისას, პირის იდენტიფიცირება სტანდარტული 4 ან 5-ნიშნა გენერირებული კოდის გარდა, ხორციელდება პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემებით.

# შემთხვევის ტიპი და თემატიკა

- შემთხვევა შეიძლება იყოს პირველადი ან განმეორებითი.
- პირველადი არის ყველა ის შემთხვევა, რომელმაც პირველად მომართა ტელეკლინიკას;
- განმეორებითად ჩაითვალა ყველა შემთხვევა, რომელმაც ტელეკლინიკას მომართა პირველი მომართვის შემდეგ ნებისმიერ პერიოდში.

## შემთხვევის თემატიკა

- შემთხვევის თემატიკა შესაძლოა იყოს **COVID-19-ის პრევენციასთან, გამოვლენასა და დისტანციურ ტრიაჟთან დაკავშირებული კონსულტაცია;**
- ფსიქოლოგიური კონსულტირების საჭიროების განსაზღვრა ოჯახის ექიმის მიერ ან პაციენტის მიერ პირველადად ფსიქოლოგიური კონსულტირების მოთხოვნა;
- ინფორმირება და კონსულტირება ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრულ დაფარვეებზე (მ.შ კოვიდ-19, იმუნიზაციის, აივზე, C ჰეპატიტიზე და ტუბერკულოზზე მკურნალობის პროგრამები); მომსახურების მიღების პროცედურებზე, მათ შორის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებისთვის საჭირო წინაპირობებთან დაკავშირებით.

## შემთხვევის გამოსავალი

შემთხვევის გამოსავალი შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. დასრულება წარმატებით;
2. წყვეტა კლიენტის მიზეზით (მიზეზის მითითება, თუ ცნობილია);
3. წყვეტა მიმწოდებლის მიზეზით (მიზეზის მითითება სავალდებულოა).



## ტერმინთა განმარტებები



ილუსტრაცია - დათო სიმონია  
პროექტის ავტორი - ბეჟა გაბადაძე



# ტერმინები

- ლგბტქი - აბრევიატურაა და განივრცობა შემდეგნაირად: ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი.

ლესბოსელი – მდედრობითი სქესის ადამიანი, რომელიც განიცდის მდგრად ფიზიკურ, რომანტიკულ და ემოციურ მიზიდულობას მისივე სქესის (მდედრობითი) ადამიანებთან.

გეი – მამრობითი სქესის ადამიანი, რომელიც განიცდის მდგრად ფიზიკურ, რომანტიკულ და ემოციურ მიზიდულობას მისივე სქესის (მამრობითი) ადამიანებთან.

ბისექსუალი – ადამიანი, რომელიც განიცდის მდგრად ფიზიკურ, რომანტიკულ და ემოციურ მიზიდულობას როგორც თავისივე, ასევე საწინააღმდეგო სქესის ადამიანთან.

# ტერმინები

- ტრანსგენდერი – ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა და თვითგამოხატვა განსხვავდება მისთვის დაბადებისას მინიჭებული სქესისაგან.
- ტრანსგენდერი ადამიანი საკუთარი სხეულის აგებულებას და სასქესო ორგანოებს აღიქვამს მისთვის შეუსაბამოდ და ისწრაფვის მისი შეცვლისაკენ. ტრანსგენდერი ადამიანისთვის ძირითადად დამახასიათებელია ისეთი ქცევა, რაც დამახასიათებელია საწინააღმდეგო სქესისათვის.
- ტრანსგენდერები შეიძლება იყვნენ როგორც ჰეტეროსექსუალები, ასევე ჰომოსექსუალები და ბისექსუალები. მაგალითად, ქალი, რომელიც ქალის გენდერიდან კაცის გენდერზე ტრანზაციას გადის და კაცები იზიდავს, არის გეი მამაკაცი. ტრანსგენდერობა დღეს დაავადებათა სიიდან არის ამოღებული და აღარ განიხილება პათოლოგიად.

ქვიარი - თავდაპირველად ჰომოსექსუალ ადამიანთა შეურაცხმყოფელ ტერმინად გამოიყენებოდა. თუმცა, 1980-იანი წლებიდან ტერმინმა პოზიტიური მნიშვნელობა შეიძინა და ბევრი ლგბტ აქტივისტი მას გამოიყენებს ყველა არაჰეტეროსექსუალი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების აღსაწერად. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ლგბტ ადამიანი ამ ტერმინს არ გამოიყენებს საკუთარი თავის განსაზღვრისთვის.

ინტერსექსი - ზოგადი ტერმინია, რომელიც გამოიყენება ბიოლოგიური სქესის სხვადასხვა ვარიაციების აღსაწერად. ინტერსექსი ის ადამიანია, ვისი ანატომიური სასქესო ნიშნები არ შეესაბამება მდედრობით ან მამრობით სქესს.

# ტერმინები

- ასექსუალი - ადამიანი, რომელიც განიცდის მცირედ (ან საერთოდ არ განიცდის) სექსუალურ ლტოლვას სხვა ადამიანის მიმართ და/ან ნაკლები ინტერესი და სურვილი ქვს ჰქონდეს სექსი ან ჰყავდეს სქესობრივი პარტნიორი.
- პანსექსუალი - ადამიანი, რომელიც განიცდის მდგრად ფიზიკურ, რომანტიკულ და ემოციურ მიზიდულობას ნებისმიერი გენდერული იდენტობის/გენდერული თვითგამოხატვის მქონე ადამიანის მიმართ
- ანდროგინი - ადამიანი, რომლის ბიოლოგიური სქესი არ არის აშკარად შესამჩნევი. იგი საკუთარ გენდერულ იდენტობას ერთდროულად გამოხატავს მამაკაცის და ქალის გენდერული თვითგამოხატვის ფორმებით.
- აგენდერი - ადამიანი, რომელსაც გენდერული თვითაღქმა საერთოდ არ აქვს.
- ბიგენდერი - ადამიანი, რომელიც დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში ერთდროულად ორი გენდერით იდენტიფიცირდება.

# ტერმინები

- გენდერქვიარი - ადამიანი, რომელიც არ არის კონფორმული ტრადიციული გენდერული ნორმების მიმართ და გენდერული ტვითგამოხატვა აქვს „არასტანდარტული“.
- ზოგიერთი გენდერქვიარი ადამიანი არ ფიქრობს ტრანზიციის პროცესის დაწყებას ან არ მიმართავს ქროს-დრესინგს, მაგრამ იდენტიფიცირდება როგორც გენდერქვიარი, გენდერულად ნეიტრალური ან ანდროგინი.
- გენდერფლუიდი - ადამიანი, რომელსაც ორი ან მეტი გენდერული რეპრეზენტატულობა აქვს დროის სხვადასხვა მონაკვეთში. იგი საკუთარ თავს ზოგჯერ შეიძლება კაცს, ზოგჯერ ქალს, ხოლო ზოგჯერ სხვა გენდერს მიაკუთვნებდეს.
- ტრანსგენდერი ქალი - ადამიანი, რომლის ბიოლოგიური სქესი არის მამრობითი, თუმცა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს ქალთან.
- ტრანსგენდერი კაცი - ადამიანი, რომლის ბიოლოგიური სქესი არის მდედრობითი, თუმცა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს კაცთან.
- ტრანსსექსუალი - ადამიანი, რომელმაც გაიარა, გადის ან აპირებს გაიაროს სქესის შეცვლის პროცედურები.

# ტერმინები

- **ქროს-დრესერი** - ადამიანი, რომელიც ტანსაცმლის ან/და აქსესუარების არჩევისას საზოგადოდ გავრცელებული ნორმების მიმართ არაკონფორმულობას გამოხატავს. იგი არჩევს ჩაიცვას/ატაროს ის ტანსაცმელი და/ან აქსესუარი, რომელიც მისი სქესისთვის საზოგადოდ არ არის დამახასიათებელი.
- **არაბინარული გენდერი** - ქოლგა ტერმინია, რომელიც აერთიანებს იმ გენდერულ იდენტობებს, რომლებიც არ ჯდება მამაკაცისა და ქალის ბინარულ სისტემაში.
- **იდენტობა** – ადამიანის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებული სუბიექტური კონცეფცია, მიკუთვნებულობის განცდა სხვადასხვა ტიპის ჯგუფების მიმართ. მაგალითად, გენდერული იდენტობა ნიშნავს ადამიანის შეხედულებას საკუთარი გენდერის მიმართ და მის მიკუთვნებას გარკვეული გენდერისთვის.
- **გენდერული იდენტობა** - ადამიანის გენდერული თვითაღქმია. ადამიანი საკუთარ თავს მამაკაცად ან ქალად შეიძლება აღიქვამდეს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში გენდერული თვითაღქმა შესაძლოა კაცის და ქალის ბინარულ სისტემაში არ იყოს მოქცეული. იქედან გამომდინარე, რომ გენდერული იდენტობა შინაგანი, ინტერნალური მოცემულობაა, ის შესაძლოა არ იყოს ხილული სხვებისთვის.

# ტერმინები

- ტრანზიცია – ტრანსგენდერი ადამიანის მიერ სოციალური და/ან სამედიცინო ეტაპების გავლა, რათა მიღწეულ იქნას იმ გენდერთან შესაბამისობა, რომელიც ინდივიდის იდენტობას უკავშირდება. ტრანზიცია ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ხშირ შემთხვევაში, მაგრამ არა ყოველთვის, მოიცავს სამედიცინო მანიპულაციების განხორციელებას და სოციალიზაციის პროცესს ახალ გენდერზე გადასვლისას. სამედიცინო ტრანზიცია მოიცავს ჰორმონოთერაპიას, სხეულის მასკულინიზაციას/ფემინიზაციას და სქესის კვლავმინიჭების ოპერაციას. სოციალური ტრანზიცია კი გულისხმობს სახელის, ტანსაცმლის, ქცევების, თმის ვარცხნილობის და სხვა მახასიათებლების ცვლილებას.
  - ინტერნალიზებული ჰომოფობია – (შეთვისებული ჰომოფობია) თავად ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი ადამიანის ირაციონალური შიში და სიძულვილია საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიმართ. სანამ ადამიანი საკუთარ ჰომოსექსუალობას ან ბისექსუალობას გააცნობიერებდეს, ის სოციალური დასწავლის საფუძველზე სწავლობს საზოგადოებაში არსებულ უარყოფით დამოკიდებულებებს ჰომოსექსუალთა და ბისექსუალთა მიმართ და ახდენს მათ ინტერნალიზებას. ხოლო როდესაც იწყება საკუთარი იდენტობის გაცნობიერება, ცნობიერებაში ასევე გადმოდის ის უარყოფითი მნიშვნელობები, რომლებსაც საზოგადოება ჰომოსექსუალობას და ბისექსუალობას აწერს. ასეთი უარყოფითი მნიშვნელობების შეთვისება ლგბტ ადამიანის მიერ ინტერნალიზებულ ჰომოფობიაზე მიუთითებს.
- ქამინგ აუთი – საჯაროდ ან ნებისმიერი ადამიანისათვის საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გაცხადება. ეს არის ლგბტ ადამიანის მიერ საკუთარი თავის მიღების პროცესი, როდესაც ის ახდენს საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიღებას და შემდგომში მის გაცხადებას.




გენდერული  
თვითგამონათვა

გენდერული  
იდენტობა


ბიოლოგიური  
სქესი

სექსუალური  
ორიენტაცია

სექსუალური  
ქცევა



[geolgbt.blogspot.com](http://geolgbt.blogspot.com)



მდეურობითი

ინტერსექსი

მამრობითი





გენდერფლუიდი



ქალი

ბი-გენდერი

კაცი



აგენდერი




გენდერკვიარი



ჰომოსექსუალი

ბისექსუალი

ჰეტეროსექსუალი



პანსექსუალი

ბისექსუალი



### **ვისთვის არის სერვისები:**

გვი და ბისექსუალი კაცები, მამაკაცები ვისაც სექსი აქვთ მამაკაცებთან, ტრანსგენდერი ქალები

### **აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის სერვისები:**

- კონსულტირება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე
- კონდომების და ლუბრიკანტების მიწოდება
- თვითტესტი და ტესტი აივ ინფექცია/შიდსზე
- ტესტი C ჰეპატიტზე
- სათემო მობილიზების და სოციალიზაციის ღონისძიებები
- საინფორმაციო ლექციები

### **ფსიქო სარაბილიტაციო სერვისები:**

ნარკოტიკების მომხარებლებისთვის კოგნიტურ ბიჰევიერისტული თერაპია, ადიქტოლოგის და სოციალური მუშაკის მომსახურებები.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე TANADGOMA.GE**

ქ. თბილისი  
ა. ქურდიანის ქ. №21  
საფოსტო ინდექსი - 0112

ბელ/ფაქსი: +(995 32) 2 35 21 32  
ცხელი ხაზი: +(995 32) 2 25 18 19  
ელ. ფოსტა: center@tanadgoma.ge



სამუშაო საბითუმო:  
**თბილისი**  
 12:00-17:00  
**თელავი**  
 12:00-17:00  
**ქუთაისი**  
 12:00-17:00  
**ზუგდიდი**  
 10:00-17:00  
**ბათუმი**  
 12:00-17:00



სამუშაო საბითუმო:  
 თბილისი  
 12:00-17:00  
**თელავი**  
 12:00-17:00  
 ზუგდიდი  
 10:00-17:00  
**ბათუმი**  
 12:00-17:00



სამუშაო საბითუმო:  
 თბილისი  
 12:00-17:00  
**ქუთაისი**  
 12:00-17:00  
 ზუგდიდი  
 10:00-17:00  
**ბათუმი**  
 12:00-17:00



სამუშაო საბითუმო:  
 თბილისი  
 12:00-17:00  
 ზუგდიდი  
 10:00-17:00  
**ბათუმი**  
 12:00-17:00  
 გორი  
 10:00-17:00



სამუშაო საბითუმო:  
 თბილისი  
 12:00-17:00  
**ზუგდიდი**  
 10:00-17:00  
 გორი  
 10:00-17:00  
**ბათუმი**  
 12:00-17:00





### **ვისთვის არის სერვისები:**

ვისთვის არის სერვისები: ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანს, გენდერულად არაკონფორმული ადამიანები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლები.

### **რა სერვისები არსებობს:**

- სოციალური მუშაკის, ფსიქოკონსულტანტის და იურისტის სერვისი.
- ადვოკატის მომსახურება - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

## **IDENTOBA YOUTH**

ქ. ქუთაისი, თაგარ მეფის №98  
ტელ: 577 10 28 42  
ტელ: 577 10 28 41

ქ. ბათუმი  
ლუკა ასათიანის №3  
ელ. ფოსტა: youthidentoba@gmail.com



### ვიზუალური არის სერვისები:

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი და ინტერსექსი ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, სქესის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაციის ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები.

### რა სერვისები არსებობს:

- მულტიგუნდის მომსახურება (სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, იურისტის, თერაპევტის, ვენერო-დერმატოლოგის, და სხვა სამედიცინო სფეროს სპეციალისტის საჭიროების მიხედვით).
- უფასო სწრაფი აივ-ტესტირება
- PREP-ის პროგრამა
- უფასო ტესტირება სიფილისზე ,B და C ჰეპატიტზე.
- ადვოკატის მომსახურება (სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე)

დაგაბებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე [EQUALITY.GE](http://EQUALITY.GE)

ქ. თბილისი, უზანგი ჩხეიძის ქ. №19  
საფოსტო ინდექსი - 0160

ტელ/ფაქსი: +995 (032) 2 479 748  
ელ. ფოსტა: [info@equality.ge](mailto:info@equality.ge)



### **ვიზიის არის სერვისები:**

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი და ინტერსექსი ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, სქესის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაციის ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები.

### **რა სერვისები არსებობს:**

- მულტიგუნდის მომსახურება (სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, სექსოლოგის, იურისტის და სხვა სამედიცინო სფეროს სპეციალისტის საჭიროების მიხედვით)
- ადვოკატის მომსახურება (სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე)

**დაგატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე WOMEN.GE**

ქ. თბილისი  
პეკინის გამზ. 29, ბ. 8.  
საფოსტო ინდექსი - 0160

ტელ/ფაქსი: +995 (032) 2 371 415  
სხელი ხაზი: +(995) 595 190 303  
ელ. ფოსტა: info@women.ge

# ტელეკლინიკა - მიმართვიალობა:

- გეი მამაკაცები;
- ბისექსუალი მამაკაცები;
- კომერციული სექს მუშაკი მამაკაცები;
- კომერციული სექს მუშაკი ტრანსგენდერი ქალები;
- გეი დისკორდანტული წყვილები (იმ შემთხვევაში თუ აივ პოზიტიური პირი არ არის არც თერაპიაზე ან მკურნალობის ფობზე არ არის მიღწეული ვირუსის სუპრესია);
- კომერციული სექს მუშაკი მამაკაცებისა და ტრანსგენდერი ქალების კლიენტები;
- ინექციური და სხვა სახის ნარკოტიკების მომხმარებელი მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან;
- კსმ ქალები



# რისი ცოდნაა აუცილებელი ოჯახის ექიმისათვის?

- რა არის აივ ინფექცია/შიდსი? (არაზოგადი ინფორმაცია.გადაცემის გზები, სიმპტომატიკა)
- არვ მკურნალობის საფუძვლები;
- სგგი დაავადებების საფუძვლები;
- პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა
- პოსტ-ექსპოზიციური პროფილაქტიკა
- C/B ჰეპატიტების საფუძვლები;

# რისი ცოდნაა აუცილებელი ოჯახის ექიმისათვის?

- თუკი აივ ინფექციის მაღალი რისკის ჯგუფის წამომადგეელი მიმართავს ოჯახის ექიმს და ამცნობს სარისკო ქცევის შესახებ, ოჯახის ექიმს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კომპეტენცია, შეაფასოს ამ ადამიანის პირველადი რისკები ( ექსპოზიციის ტიპი, ექსპოზიციის წყარო, პრევენციული საშუალებების გამოყენების თავისებურებანი) და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადაამისამართოს ან გაუწიოს სხვა სახის კონსულტირება;
- თუკი ტელეკლინიკას მიმართავს აივ პოზიტიური პირი, ახლად დასმული დიაგნოზით, ოჯახის ექიმს უნდა შეეძლოს, ახსნას მკურნალობის თავისებურებანი, დაარწმუნოს პაციენტი, ჩაერთოს მკურნალობაში;
- თუკი ერთი დაავადების რისკ ჯგუფის წევრი მიმართავს ტელეკლინიკას, ოჯახის ექიმმა უნდა შეეძლოს, და შეაფასოს რისკები სხვა დაავადებებთან მიმართებაში;
- სგგდ დაავადებების სიმპტომატიკის შესწავლა/შეფასება გადაამისამართება.

## რისი ცოდნაა აუცილებელი ოჯახის ექიმისათვის?

- მსმ და ტრანს ადამიანებისთვის კონსულტაციის გაწევის უნარი პრე- და პოსტ-ექსპოზიციურ პროფილაქტიკებთან დაკავშირებით მას შემდეგ რაც შეფასდება აივთან ასოცირებული რისკები სწორად

# პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა (PrEP)

- პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა (PrEP) - სამედიცინო ინტერვენციაა, რომელიც გამოირჩევა აივ ინფიცირებისგან დაცვის მაღალი ხარისხით, თუმცა არ უზრუნველყოფს დაცვას სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან, შესაბამისად PrEP გამოიყენება კომბინაციაში სხვა პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად.
- PrEP უნდა ჩატარდეს აივ მედიკამენტების გამოყენების გამოცდილების მქონე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, შესაძლებელია სქესობრივი ჯანმრთელობის სპეციალისტის ჩართულობაც.

# პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა (PrEP)

- PrEP დანიშვნამდე უნდა დარწმუნდეთ რომ, პირი აივ ნეგატიურია. არ უნდა ჰქონდეს მწვავე რეტროვირუსული დაავადების სიმპტომები და უნდა იყოს უარყოფითი აივ ანტისხეულებზე მეოთხე გენერაციის ტესტით. PrEP მიმდინარეობის პერიოდში ზემოთ აღნიშნული ტესტი უნდა გამეორდეს ერთ თვეში და შემდეგ ყოველ სამ თვეში ერთხელ.
- პრეპი უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, მწვავე აივ/შიდსის სიმპტომების გამოვლენის ან აივ სეროკონვერსიის შემთხვევებში. ავადმყოფი უნდა გადამისამართდეს შესაბამის ცენტრში აივ/შიდსის სპეციალისტთან;
- პრეპის დანიშვნამდე უნდა გაირკვეს HBV სეროლოგიური სტატუსი;
- პრეპის დაწყებამდე აუცილებელია, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე გამოკვლევა, მათ შორის, C ჰეპატიტსა და სიფილისზე (anti-HCV, TPHA) და კონსულტირება იმის შესახებ, რომ PrEP არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან;
- PrEP დანიშვნამდე აუცილებელია პაციენტის კონსულტირება იმის შესახებ, რომ მედიკამენტი მოქმედებს თირკმელების და ძვლის ჯანმრთელობაზე. პრეპის დაწყებამდე აუცილებელია თირკმელების ფუნქციური შეფასება;
- პრეპის დანიშვნამდე აუცილებელია კონსულტირება დამყოლობის შესახებ. მედიკამენტი ეფექტურია მხოლოდ ყოველდღიური მიღების შემთხვევაში;
- აუცილებელია კონსულტირება იმის შესახებ, რომ მედიკამენტი ინიშნება ხანგრძლივად, თუმცა პირველი მიღებისას გადაეცემა ერთი თვის მარაგი, ხოლო შემდეგ არა უმეტეს სამი თვის მარაგისა;
- PrEP სამკურნალო რეჟიმია ტენფოვირ/ემტრიციტაბინი (ტრუვადა - TDF/FTC 300/200 მგ) ერთი აბი ერთხელ დღეში. PrEP ხანგრძლივობა უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად.

# ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკა

- აივ ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკა (PEP) უნდა დაეწყოს აივ ექსპოზირებულ ყველა პირს, რომლებიც იმყოფებიან აივ გადაცემის რისკის ქვეშ.
- პროფილაქტიკა გულისხმობს არვ მედიკამენტების გამოყენებას, რომელიც უნდა დაიწყოს ექსპოზიციიდან რაც შეიძლება მალე, არა უგვიანეს 72 საათის ფარგლებში.
- PEP-ის მისაღები პირების შესაფება უნდა ეფუძნებოდეს ინფექციის შესაძლო წყაროს აივ სტატუსის ცოდნას, ასევე, გასათვალისწინებელია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და აივ-ის გავრცელება ადგილზე.

# უპირატესი მედიკამენტური რეჟიმები PEP-ისთვის

უპირატესი რეჟიმები მოზრდილებსა და მოზარდებში:

- ტენოფოვირი (TDF) + ლამივუდინი (3TC) (ან ემტრიციტაბინი, FTC) უპირატესი ბაზისური კომბინაციაა მოზრდილებსა და მოზარდებში ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკისათვის;
- მოზრდილებსა და მოზარდებში ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკისათვის მესამე მედიკამენტის სახით უპირატესია გამოვიყენოთ ლოპინავირ/რიტონავირი (LPV/r) ან ატაზანავირ/რიტონავირი (ATV/r). თუ ხელმისაწვდომია, ალტერნატივად შესაძლებელია განვიხილოთ რალტეგრავირი (RAL), დარუნავირ/რიტონავირი (DRV/r) ან ეფავირენზი (EFV).

უპირატესი რეჟიმები 10 წლამდე ასაკის ბავშვებში:

- ზიდოვუდინი (AZT) + ლამივუდინი (3TC) უპირატესი ბაზისური კომბინაციაა 10 წლამდე ასაკის ბავშვებში ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკისათვის;
- 10 წლამდე ასაკის ბავშვებში მესამე მედიკამენტის სახით უპირატესია გამოვიყენოთ ლოპინავირ/რიტონავირი (LPV/r). ასაკის შესაბამისად შესაძლოა, განხილულ იქნას შემდეგი ალტერნატიული მედიკამენტები: ატაზანავირ/რიტონავირი (ATV/r), რალტეგრავირი (RAL), დარუნავირ/რიტონავირი (DRV/r), ეფავირენზი (EFV) და ნევირაპინი (NVP).

# სხვა საჭირო უნარები

- სენსიტიურობა ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ;
- ტრანს-სპეციფიური საკითხების ცოდნა;
- სენსიტიურობა აივ დადებითი ადამიანების მიმართ;
- ფსიქო-სოციალური თანადგომა და მისი გამოხატვა;
- სერვისების შესახებ განახლებად რეჟიმში ცოდნა;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- კონფიდენციალურობაში დარწმუნების უნდარი.



## კოვიდი და აივ ინფექცია

- ოჯახის ექიმმა უნდა შეძლოს და სწორად გადაამისამართოს ბენეფიციარი მათთვის ადვილად ხელმისაწვდომ სივრცეში (Self test, vending machines სერვის-ცენტრები და სხვა).

## ზიანის შემცირების პროგრამები საქართველოში

- შპრიცების გაცვლის პროგრამები
- ჩანაცვლებითი თერაპიის (მეტადონის, სუბუქსონის) პროგრამები

## შპრიცების გაცვლის პროგრამები

- ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამის მონაწილე „კლიენტი“ ნახმარ შპრიცს, სტერილურ შპრიცზე ცვლის. საბოლოოდ კი ვირუსიანი შპრიცი სანიტარული დაცვის წესებით ნადგურდება
- აღნიშნული ხელს უწყობს, როგორც სიცოცხლისათვის საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების შეჩერებას ასევე ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის ნდობის მოპოვებას და საბოლოოდ კი მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში
- შეზღუდული საკანონმდებლო რეგულაციების შედეგად საქართველოში შპრიცების გაცვლა არ ხორციელდება!

## შპრიცების გაცვლის პროგრამების ტიპები

- სტაციონარული – მომსახურება სპეციალურ დაწესებულებაში ან ოფისში, სადაც ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელს ნახმარი საინექციო მოწყობილობის სანაცვლოდ შეუძლია ახალი მიიღოს;
- მობილური მანქანებით მომსახურება, რომელიც დადგენილი მარშრუტით მოძრაობს და განსაზღვრულ ადგილებზე ჩერდება;



პროექტებს ახორციელებს  
„ზიანის შემცირების საქართველოს  
ქსელი“



# შპრიცების გაცვლის პროგრამების ტიპები

გამანაწილებელი ავტომატი (აპარატი)

## Funding

- 5% Initiative and Global Fund
- In collaboration with NCDC and GHRN

## Components

1. ოპიატების პაკეტები
2. სტიმულატორების პაკეტები
3. კონდომები
4. ნალოქსონი
5. ორსულობის ტესტი
6. HIV თვით ტესტი

## Current status:

- 10 ავტომატი დგას თბილისში, სხვადასხვა უბანში ( PWID, MSM, Trans+ and SWs)



## შპრიცების პროგრამა საქართველოში 2006 წლიდან

- 14 სერვის ცენტრი 11 ქალაქში
  - 4 თბილისი
  - 1 სოხუმი
- ქსელის წევრი ორგანიზაციები, მათ შორის სათემო ორგანიზაციები ახორციელებენ დაბალზღურბლოვან აივ-ისა და ჰეპატიტების პრევენციული სერვისების მიწოდებას 2001 წლიდან
- ნიშ-ების ყოველთვიური მოცვა შეადგენს 8,000-10,000 (წელიწადში 35,000-მდე)
- პროექტში დასაქმებულია 300-მდე პირი




# ზიანის შემცირების პროგრამის ფარგლებში მიწოდებული სერვისების ფართო სპექტრი

სკრინინგი და ტესტირება	ზიანის შემცირება	დამხმარე სერვისები	ინოვაციური აუთორიზ სერვისები
<ul style="list-style-type: none"> <li>• HIV</li> <li>• HCV</li> <li>• HBV</li> <li>• Syphilis</li> <li>• TB</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტერილური საინექციო აღჭურვილობა</li> <li>• ზედოზირების პრევენცია და ნალოქსონი</li> <li>• კონდომები</li> <li>• სწავლება ზიანის შემცირების საკითხებზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აივ შემთხვევების ოპტიმიზირებული გამოვლენა (OCF)</li> <li>• ქეის მენეჯმენტი</li> <li>• ქალ ნიმ-ებზე ორიენტირებული მიდგომა</li> <li>• პროფესიული სწავლება ქალი ნიმ-ებისთვის</li> <li>• ნიმ-ების პარტნიორობის მოზიდვა</li> <li>• სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები</li> <li>• პაციენტთა სკოლები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანასწორთა სწავლების ინტერვენცია</li> <li>• მუშაობა და ტესტირება ველზე (აუთორიზი)</li> <li>• მობილური ამბულატორიების სერვისი</li> </ul>

პროექტში დასაქმებული პერსონალის 79% თემის წევრია

## ზიანის შემცირების პროგრამის ფარგლებში მიწოდებული სერვისები

ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისა და მათი სქესობრივი პარტნიორებისათვის სხვადასხვა ექიმი-სპეციალისტების კონსულტაციებით უზრუნველყოფა





## ზიანის შემცირების პროგრამის ფარგლებში მიწოდებული სერვისები

ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების და მათი სქესობრივი პარტნიორების პრე და პოსტ კონსულტირება და სკრინინგული ტესტირება:

- აივ ინფექცია/შიდსი;
- B და C ჰეპატიტები;
- სიფილისი;
- ტუბერკულოზი.



ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების აივ ტესტირებასა და მოცვაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მობილური ამბულატორიების გამოყენება (სულ 9 მობილური ამბულატორია)



## ზედოზირების პრევენცია და ნალოქსონი



ზედოზირების პროფილაქტიკის მიზნით, ნიმ-ებს ურიგდებათ პრეპარატი ნალოქსონი, ხოლო მისი გამოყენების შესახებ სერვის ცენტრებში და მობილური ლაბორატორიების ბაზაზე უტარდებათ ტრენინგი და მიეწოდებათ კვალიფიციური ინფორმაცია.



თანასწორგანმანათლებელთა შეხვედრა

# თანასწორების მიერ დარიგებული ნალოქსონი (ახალი ვექტორი)



# C ჰეპატიტი



# С ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა ზიანის შემცირების ცენტრებში



HCV სკრინინგი



RNA დიაგნოსტიკა



HCV მკურნალობის  
დაწყება



# ქვის მენეჯმენტი

ჩანაცვლებითი თერაპია  
HIV  
HCV  
HBV  
Syphilis  
TB

სპეციალიზირებული კლინიკა

დაბალზღურბლოვანი პროგრამა



Risk  
Counsellin  
გ

Screening  
PoC  
Diagnostic

Linkage to  
Care



# შიდს-ით დაავადებულთა დახმარების ფონდი

პირველადი ფსიქოლოგიური პრობლემები

- ტრავმა
- კრიზისი
- შფოთვითი აშლილობა:
  - ❖ გენერალიზებული შფოთვითი აშლილობა;
  - ❖ პანიკური აშლილობა;
  - ❖ ფობიური აშლილობა;
  - ❖ ობსესიურ-კომპულსური აშლილობა (OCD);
  - ❖ სტრესი
  - ❖ პტსა (PTSD)






# მეორეული ფსიქოლოგიური პრობლემები


- დეპრესია:
  - ❖ დისტიმია
  - ❖ მძიმე დეპრესია
- სუიციდალური ტენდენციები;
- სხვა ფსიქიკური პრობლემები:
  - ❖ შიზოფრენია
  - ❖ დემენცია (აივ ასოცირებული)
  - ❖ გონებრივი განვითარების შეფერხება



# სოციალური ასპექტები



- კონფიდენციალურობა
- აივ სტატუსის გამხელა
- „არ განსჯა“ პრინციპი (დაინფიცირების გზა)
- სტიგმა და დისკრიმინაცია (უარი მომსახურებაზე)
- ურთიერთობების (სოციალური, სქესობრივი) შეზღუდვა



# სამედიცინო ასპექტები

- მკურნალობა (დაწყება, რეჟიმი და მიმდინარეობა)
- მედიკამენტის გვერდითი ეფექტები (სომატური მანიფესტაცია და მართვა)
- ენდოკრინოლოგი
- სტომატოლოგი
- გინეკოლოგი
- კარდიოლოგი
- დერმატოლოგი
- გასტროენტეროლოგი
- პროქტოლოგი
- თერაპევტი
- ფსიქიატრი

# ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები - ვინ შეიძლება მიმართოს ოჯახის ექიმს?

ტბ-საგან დაზარალებული ადამიანები, ვინც უკვე არის მკურნალობაზე

ტბ მაღალი რისკის ჯგუფებმა, ვისაც არ გაუვლია სკრინინგი

ტბ დაზარალებულთა ოჯახის წევრები, ვისაც ჭირდება ზოგადი იფნომაცია

აივის მაღალი რისკის ჯგუფებმა, ვისაც ჭირდება ტბ სკრინინგი



არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები

აქტივისტები, ტბ თემის წევრები

# კოვიდ-19 ის კონტექსტი როგორც შესაძლებლობა

- ზოგად მოსახლეობაში, ისევე როგორც აივ/ტბ მაღალი რისკის ჯგუფებში მოთხოვნა კოვიდ-19-ის დიაგნოსტიკაზე გაცილებით მაღალია, ვიდრე თავად აივ-სა და ტბ-ზე;
- კოვიდ-19-ზე დიაგნოსტიკაზე მომართვიანობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ოჯახის ექიმის მხრიდან მიზნობრივი გადამისამართება ტბ სკრინინგზე.

# კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე:

- ტბ პაციენტებისათვის აუცილებელია სიმპტომების დაზუსტება, შესაძლოა არსებობდეს კითხვები ცალკეული სიმპტომების გამოვლენასთან დაკავშირებით ტბ საწინააღმდეგო მედიკამენტების ფონზე (მაგ. კოვიდით ინფიცირებისას, მეც დამიფიქსირდება თუ არა ტემპერატურა, რადგან ვიღებ ძლიერმოქმედ მედიკამენტებს?)
- აუცილებელია განმარტება, რომ პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტბ დანიშნულების ზედმიწევნით შესრულება;
- მომატებული შფოთვის ფონზე, აუცილებელია პაციენტების მხარდაჭერა კოვიდისა და ტუბერკულოზის პარალელური მიმდინარეობისას ან კოვიდის არსებობის რისკების შემთხვევაში.

## ტელე კლინიკის მიერ განხორციელებული სამედიცინო მომსახურების შეფასება:

მონაცემთა ანალიზისათვის უნდა მოგროვდეს ინფორმაცია თითოეული პაციენტის პაციენტის უნიკალური კოდის მიხედვით, პერსონალური და/ან დაჯგუფებული რაიმე ნიშნის მიხედვით:

- ერთი პაციენტის (საშუალო) კონტაქტი დაწესებულებასთან პაციენტის მიერ ინიცირებული
- ოპერატორთან ზარის საშუალო ხანგრძლივობა
- პაციენტის მიერ ინიცირებული - ექიმის პირველადი კონსულტაციის საშუალო ხანგრძლივობა; განმეორებითი კონსულტაციის საშუალო ხანგრძლივობა -
- ექიმის მიერ ინიცირებული კონსულტაციის საშუალო ხანგრძლივობა- მეთვალყურეობის მიზნით; ტესტის პასუხის კომუნიკაციის და სხვ.
- პაციენტის მიერ ინიცირებული - ფსიქოლოგიური კონსულტაციის რ-ბა და საშუალო ხანგრძლივობა
- ფსიქოლოგის მიერ ინიცირებული - რ-ბა და საშუალო ხანგრძლივობა
- ოპერატორთან დასმული შეკითხვების რაოდენობა

# კონფიდენციალობასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები

- გამოყოფილია კონკრეტული პირი, ვისაც უშუალოდ დაეკისრება საერთო პასუხისმგებლობა მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
- დაწესებულებაში არსებობს მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის მოთხოვნებისა და პროცედურების დოკუმენტი;
- აღნიშნულ დოკუმენტს უნდა გაეცნოს და ხელი მოაწეროს პროექტში მონაწილე თითოეულმა თანამშრომელმა იმის ნიშნად, რომ ისინი გაეცნენ და მზად არიან დაიცვან აღნიშნული მოთხოვნები;
- პირები, რომლებსაც აქვთ სისტემის ფარგლებში არსებულ პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომა, ვალდებული არიან არ გასცდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მათ ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.





გმადლობთ  
ყურადღებისთვის!